სპს თავაძე და კომპანია სკოლა ანაბასისი
პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა

2021 წელი

მუხლი 1. მიზანი

პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმის შექმნის მიზანია COVID-19-გან დაცვის ღონისძიებების გაწერა და მათი ეფექტური განხორციელება. აღნიშნული გეგმა შედგენილია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მითითებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების მიხედვით.

მუხლი 2. რისკების შეფასება

„სამუშაო ადგილებზე ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების თავიდან აცილების მიზნით რეკომენდაციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 მაისის №01-227/ო ბრძანების დანართი N1 დადგინდა, რომ სკოლა გადის COVID - 19 ის მიმართ თანამშრომელთა ინფიცირების საშუალო **რისკის** კატეგორიაში.
აღნიშნული რისკის დონის გათვალისწინებით სკოლა, შრომის ინსპექციის დეპარტამენტის მიერ რეკომენდირებული **კონტროლის მექანიზმების იერარქიის** მიხედვით, კონტროლის მექანიზმების იერარქიაა:



ზემოთხსენებული იერარქიიდან პირველი ორი საფეხურის - „გამორიცხვა“ და „ჩანაცვლება“, განხორციელება მსოფლიო პანდემიის პირობებში შეუძლებელია. ამიტომ COVID-19 -ის გავრცელების რისკების სამართავად სკოლა გამოიყენებს დარჩენილ სამ საფეხურს: „საფრთხის იზოლირება,“ „პროცედურები,“ „ინდივიდუალური დაცვის საშუალებები.“

მუხლი 3. საფრთხის იზოლირება

1. ტემპერატურის გაზომვა დისტანციურად

სკოლის შესასვლელთან განხორციელდება თერმოსკრინინგი, რათა გაკონტროლდეს როგორც მასწავლებლების, მოსწავლებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, ასევე თანამშრომელთა და სკოლაში მომსვლელი ნებისმიერი ვიზიტორის ჯანმრთელობის მდგომარეობა. თერმოსკრინინგის დროს დაფიქსირებული მაღალი ტემპერატურის ხელმეორედ გადამოწმების მიზნით, სკოლის შესასვლელში მოწყობილია შესაბამისი მოსაცდელი სივრცე. მოსაცდელ სივრცეში გადაყვანილი პირისთვის 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის განმეორებით დაფიქსირების შემთხვევაში, პირი არ დაიშვება სკოლის ტერიტორიაზე.

2. იმ პირთა დაუყოვნებელი იზოლაციის პოლიტიკა და პროცედურები, რომელთაც აღენიშნებათ COVID-19-ის ნიშნები ან/და სიმპტომები

- დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლების და მოსწავლეების) დაშვება სკოლის შენობაში;
- თერმოსკრინინგისას ცხელების - 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირების შემთხვევაში, პირი ექვემდებარება ტემპერატურის გადამოწმებას ვერცხლისწყლის თერმომეტრით 15 წუთიან შუალედში, მოსაცდელ სივრცეში. ყოველი გამოყენების შემდეგ ვერცხლისწყლის თერმომეტრი მუშავდება სადეზინფექციო ხსნარით ან აღნიშნული თერმომეტრის გამოყენება ხდება ერთჯერადად;
- სიცხის გადამოწმების შემდეგ 37.0C ან 37.0C -ზე მეტი ტემპერატურის დადასტურების შემთხვევაში:
  - ა) ნებისმიერი პირი არ დაიშვება სკოლაში და ვალდებულია მიმართოს ოჯახის ექიმს;
  - ბ) მოსწავლე (პირბადით) განათავსდება წინასწარ მომზადებულ საიზოლაციო ოთახში. სკოლა დაუყოვნებლივ დაუკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია იზრუნოს მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;
  - გ) მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუკავშიდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;
  - დ) საიზოლაციო ოთახში მყოფი ყველა პირი (მათ შორის, მოსწავლე) აღჭურვილი იქნება შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით. მოსწავლეები არ რჩებიან საიზოლაციო ოთახში მეთვალყურეობის გარეშე;
- საიზოლაციო მიზნებისთვის გამოყენებული ოთახი აკმაყოფილებს შესაბამისი უწყების მიერ შემუშავებულ ყველა პირობას:
  - ა) ოპტიმალური ბუნებრივი ვენტილაცია;
  - ბ) აღჭურვილია დასაჯდომი/მოსასვენებელი საშუალებებით (სკამი/სავარძელი/ტახტი);
  - გ) ხელმისაწვდომი ხელის ჰიგიენის საშუალებები;
  - დ) ყოველი გამოყენების შემთხვევაში საიზოლაციო ოთახის სველი წესით დამუშავება.
- რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე და სხვა პირი (პირბადით) დროებით გადაყვანილი იქნება **საიზოლაციო ოთახში.** მოსწავლის შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით.

სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება **პჯრ-ტესტირების დასკვნის** საფუძველზე (COVID-19 -ით ინფიცირების არ არსებობის შემთხვევაში). COVID-19-ს რომელიმე მოსწავლის ან თანამშრომლისთვის დადასტურების შემთხვევაში მოხდება სკოლის მთელი შენობის დეზინფექცია.

3. ვირუსის გავრცელების რისკ ჯგუფის წარმომადგენელი პირების ფიზიკური იზოლირება დანარჩენი თანამშრომლებისგან

ამ რისკ ჯგუფში შევა ყველა დასაქმებული და ვიზიტორი, თუ:

- მათ დატოვეს ვირუსის გავრცელების ქვეყნები ბოლო 12 დღის განმავლობაში;
- ბოლო 12 დღის განმავლობაში მჭიდრო კონტაქტში იმყოფებოდნენ კორონავირუსის მატარებელ პირთან/პირებთან (მათ უნდა გაიარონ თვითიზოლაცია/კარანტინი შესაბამისად დადგენილი წესით);
- აღენიშნებათ რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომები (ხველა, ტემპერატურა, ცემინება, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.);
- მიეკუთვნებიან COVID-19-ით დაინფიცირებისა და გართულებების მაღალი რისკის მქონეებს: 70 წელს გადაცილებული, აგრეთვე, ქრონიკული დაავადებების (გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, დიაბეტი, ბრონქული ასთმა და სასუნთქი ორგანოების სხვა დაავადებები) მქონე პირები.

მუხლი 4. სკოლის სამუშაო სივრცის დეზინფექცია და სადეზინფექციო საშუალებები

1. სკოლა უზრუნველყოს გამოყენებად სამუშაო ინვენტარისა და მოწყობილობების დამუშავებას რამდენჯერმე დღეში შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით. სკოლის შენობის/შენობების შესასვლელთან განთავსდება დეზობარიერები, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით. სამუშაო ადგილებზე განათავსდება ზედაპირების სადეზინფექციო საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები. სამუშაო ადგილზე განთავსდება ხელის პერიოდული დეზინფექციისთვის საჭირო სულ მცირე, 70% ალკოჰოლის შემცველი ხელის დასამუშავებელი ხსნარები.

2. ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (შემდგომში: „იდს“) გამოყენებით სისტემატურ დასუფთავება/დეზინფექციას მოითხოვს:

- სამუშაო მაგიდა
- კომპიუტერის მონიტორი
- კლავიატურა
- კომპიუტერის მაუსი
- სკოლაში არსებული ტელეფონები
- მობილური ტელეფონები
- კარის/ფანჯრის სახელურები
- მოაჯირები
- შიდა და გარე ნარჩენების ურნები
- დაწესებულების იატაკი
- საპირფარეშოები
- ჭურჭელი/კონტეინერები

- მაგიდები და სკამები
- ყავის/წყლის აპარატები
- ვიტრინებისა და სადემონსტრაციო სივრცეები
- დახლები
- სამზარეულოში არსებული ინვენტარი
- საკონფერენციო/სააქტო ოთახების აღჭურვილობა და ინვენტარი
- ელექტრო ჩამრთველები (ელ-ენერგიის საერთო გამორთვის შემდეგ შესაბამისი იდს-ების გამოყენებით)
- ავეჯი
- საბავშვო სივრცეები და ინვენტარი

3. აუცილებელია, ყოველი დასუფთავება/დეზინფექციის პროცესის შემდეგ მოხდეს ხელთათმანების გამოცვლა და ხელების დაბანა/დამუშავება.
4. გაკვეთილების მიმდინარეობისას სანიტარიული წერტილების სანიტარიული დასუფთავება მოხდება ყოველი დასვენების შემდეგ; ხოლო საერთო გამოყენების სივრცის სველი წესით დალაგება/სანიტარიული დამუშავება ყოველი სასწავლო დღის შემდგომ.
5. არასაგაკვეთილო დროს სანიტარიული კვანძის მოპირკეთებული ზედაპირების, უნიტაზების, ხელსაბანი ნიჟარების რეცხვა და დეზინფიცირება ხორციელდება დაბინძურების შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ დღეში 2-ჯერ;
6. სანიტარული კვანძის დასუფთავება მოხდება წინასწარ განსაზღრული საპირფარეშოების დასუფთავების წესის, პერიოდულობის, დასუფთავებისთვის განკუთვნილი ინვენტარისა და გამოყენებული ჰიგიენური საშუალებების ნუსხის შესაბამისად.
7. სანიტარიული კვანძის დეზინფექციისთვის გამოიყენება მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ მიერ რეგისტრირებული საშუალებები.
8. ხელის დეზინფექციისათვის არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტიკური საშუალებების დისპენსერები განთვსდება სკოლის შესასვლელში, საერთო სარგებლობის სივრცეებთან (საიზოლაციო ოთახი, ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სამასწავლებლო, კვების ბლოკი და სხვ.), თითო სართულზე არანაკლებ 2 ცალი. გათვალისწინებულია, რომ ხელების დაბანა წყლითა და საპნით უპირატესია.

მუხლი 5. სამუშაო სივრცის ორგანიზება

1. 2021-2022 სასწავლო წელი იწყება დისტანციურ რეჟიმში , თუმცა სკოლა მზაობას აცხადებს განსაზღვრულ დროს სწავლა განაახლოს საკლასო ოთახებში მთავრობის მიერ დადგენილი რეგულაციების სრული დაცვით.
2. საკლასო ოთახებში სასწავლო პროცესის აღდგენის შემდეგ ფანჯრების გაღებით და განიავებით მოხდება სრული სამუშაო სივრცის გამუდმებულ რეჟიმში ბუნებრივი ვენტილაცია, ჰაერის განიავება. საკლასო ოთახებში ყოველი შესვენების დროს მასწავლებელი უზრუნველყოფს საკლასო ოთახის განიავებას.
3. სასწავლო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსები და საერთო სარგებლობის ფართები აღჭურვილი იქნება გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის განკუთვნილი ნაგვის ყუთებით - კონტეინერებით (დახურული კონტეინერებით, სატერფულით გახსნის შესაძლებლობით), რომლებშიც ჩაფენილი იქნება

ერთჯერადი პოლიეთილენის პარკი. ნარჩენების პარკის ამოიღება და განკარგვა დასაშვებია მხოლოდ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. ასეთი ნარჩენების დროული გატანა მოხდება შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ.

4. მასწავლებლის მიერ სასწავლო რესურსების გამოყენება მოხდება ხელის სათანადო წესით დამუშავების შემდგომ.

5. სასწავლო რესურსები და ნივთები, რომელთა დეზინფიცირება ან გასუფთავება ძნელია, ამოღებული იქნება ხმარებიდან, მაგალითად, ქსოვილისგან დამზადებული თვალსაჩინოებები. მასწავლებელმა მაქსიმალურად უნდა შეიკავოს თავი ჯგუფში მრავალჯერადად გამოსაყენებელი ნივთების ხმარებისგან, აუცილებლობის შემთხვევაში უნდა მიუთითოს, რომ ხელები დაიბანონ ან დაიმუშაონ მათ გამოყენებამდე და შემდგომ;

მუხლი 6. რესურს ოთახი და სსსმ მოსწავლესთან მუშაობა (საჭიროების შემთხვევაში, ამჟამად სკოლაში არ ირიცხება სსსმ მოსწავლე)

1. უნდა განხორციელდეს ყველა იმ ზედაპირის დასუფთავება/დეზინფექცია, რომელთანაც შეხება უწევს სსსმ მოსწავლესა (მოსწავლესთან მუშაობის პროცესში გამოყენებული ნებისმიერი დამხმარე და განმავითარებელი რესურსი, მათ შორის, ეტლი, ყავარჯენი, სათვალე და სხვა);
2. რესურსოთახში, ინტეგრირებულ კლასსა და ასევე, საჭიროების შესაბამისად, საკლასო ოთახში, უზრუნველყოფილ იქნება გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერების განთავსება, რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პაკეტი;
3. სსსმ მოსწავლესთან მუშაობის დროს სპეციალისტი გამოიყენებს პირბადეს, თუ სამუშაო მოითხოვს 1 მ-ზე ახლოს მიახლოვებას, ამასთან, ხელებით კონტაქტის საჭიროებისას კი გამოიყენოს ერთჯერადი ხელთათმანი;
4. სსსმ მოსწავლესთან მომუშავე სპეციალისტი შეძლებისდაგვარად დაეხმარება სსსმ მოსწავლეებს უსაფრთხო დისტანციის დაცვაში.

მუხლი 7. კვების ბლოკი

1. კვების ბლოკში საკვებთან განთავსდება დამცავი ბარიერი - მოსწავლეებთან პირდაპირი კონტაქტის თავიდან არიდების მიზნით;
2. ყოველი მომხმარებლის შემდეგ უზრუნველყოფილ იქნება მაგიდის სპირტისშემცველი ხსნარით დეზინფექციას;
3. დისტანციის დაცვის მიზნით, კვების ობიექტში გამოყენებულ იქნება მოსწავლის განთავსების ადგლების მარკირების სისტემა შემდეგი სისტემით:
   ა) ერთ მაგიდასთან განთავსებულ მომხმარებლებს შორის უზრუნველყოფილი იქნება არანაკლებ 1 მეტრიანი დისტანცია;
   ბ) ერთი ადამიანის განთავსებისთვის საჭირო ფართობი შეადგენს არანაკლებ 2,25$მ^2$-ს.
   გ) სკამის საზურგეებს შორის მანძილი იქნება არანაკლებ 1 მეტრი;
   დ) მაგიდებს შორის დაცული იქნება უსაფრთხო მანძილი, არანაკლებ 2 მეტრი.
4. კვების ბლოკში განთავსდება გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც ავალდებულებს ნებისმიერ პირს საკვების მიღების წინ დაიბანოს ხელი წყლით და საპნით (საკვების მიღების წინ სანიტაიზერით ხელის დამუშავება არ არის რეკომენდირებული).

მუხლი 8. ბიბლიოთეკა

1. წიგნების/დოკუმენტების გამცემი პირი აღჭურვილი იქნება პირბადით და ხელთათმანებით;
2. სკოლის ბიბლიოთეკაში დაუშვებელია ჯგუფურად მუშაობის პროცესი;
3. დარბაზის დროებით დატოვების შემდეგ დაბრუნებისას აუცილებელი იქნება სადეზინფექციო ხსნარის გამოყენება;
4. გამოყენებული, მომხმარებლისგან/მკითხველისგან დაბრუნებული დოკუმენტები (წიგნები, ჟურნალები, გაზეთები, ნოტები და ა.შ) განთავსდება კარანტინში (სპეციალურად გამოყოფილ მაგიდაზე) 3-5 დღის განმავლობაში.
5. სახელურები, მოაჯირები და სხვა) დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით არანაკლებ 3-ჯერ დღეში;
6. კომპიუტერისა და მისი აქსესუარების დამუშავება მოხდება სადეზინფექციო ხსნარებით ყოველი გამოყენების შემდეგ;
7. ყველა სამუშაო ავეჯი გამოყენების შემდეგ დამუშავდება სადეზინფექციო ხსნარითა და მშრალი ხელსახოცით;

მუხლი 9. სპორტული მოედანი

1. სავარჯიშო პროცესი ღია სივრცეში განხორციელდება ჩართულ პირთა 2 მეტრიანი დისტანციის დაცვით;
2. უშუალოდ სავარჯიშო სივრცეში შესვლის წინ ყველა პირისთვის (სპორტსმენი, მწვრთნელი და ა.შ.) სავალდებულოა ხელის ჰიგიენის ჩატარება (ხელის დაბანა გამდინარე წყლითა და საპნით და ხელების დამუშავება დეზინფექტანტის საშუალებით);
3. ყოველი ვარჯიშის ბოლოს მოხდება სავარჯიშო სივრცის სველი წესით დალაგება და დეზინფექცია;
4. ყოველი დასუფთავებისა და დეზინფექციის შემდეგ მოხდება დახურული სივრცეების განიავება გაღებული ფანჯრებისა და კარებების პირობებში, „ორპირი ქარის“ პრინციპით;
5. თვალსაჩინო და ხელმისაწვდომ ადგილას განთავსებული იქნება ხელის ჰიგიენის საშუალებები და მათი სწორად მოხმარების წესები.

მუხლი 10. პროცედურები

1. სკოლის ტერიტორიაზე დაუშვებელია მასიური თავშეყრა. აღნიშნული მოთხოვნის შესრულება გაკონტროლდეს მორიგის მიერ.
2. სკოლამ მაქსიმალურად შეზღუდავს ვიზიტორთა რაოდენობას სკოლის შენობაში, ვიზიტორი (მათ შორის მშობელი) სკოლის ტერიტორიაზე დაიშვება მხოლოდ გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ვიზიტების ზუსტი აღრიცხვით: ვიზიტორის საიდენტიფიკაციო ინფორმაციის (გვარი, სახელი, საკონტაქტო ტელეფონი), ვიზიტის დანიშნულების, შემოსვლისა და გასვლის დროის დაფიქსირებით. მშობლებთან ან სხვა გარეშე პირებთან კომუნიკაციის დროს უპირატესობა ენიჭება დისტანციურ შეხვედრებს.
3. ყველა საკლასო ოთახში მერხების განლაგებულია იმგვარად, რომ მოსწავლეებს შორის დაცული იყოს მინიმუმ 1 მეტრიანი დისტანცია. მინიმუმ 2 მეტრიანი დისტანცია იქნება

დაცული ასევე მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორისაც. თუ აღნიშნულის დაცვა ვერ ხერხდება, მასწავლებელს უნდა ეკეთოს პირბადე.

4. პირთა შორის დისტანციის დასაცავად გამოიყენებული იქნება სავალდებულო პირობითი ნიშნები (იატაკზე და კედელზე შესაბამისი სტიკერების/ნახაზების სახით). აღნიშნული ნიშნები განთავსდება სკოლის შენობის ყველა იმ ადგილას, სადაც შესაძლოა მოხდეს პირთა შეჯგუფება.

5. დაუშვებელია სკოლის ტერიტორიაზე ვიზიტორთა გადაადგილება თანმხლები პირის (დამსაქმებლის/დასაქმებულის/დარაჯის) გარეშე.

მუხლი 11. პრევენციული წესების დაცვა.

1. ახალი კორონავირუსისგან თავის მაქსიმალურად არიდების მიზნით, სკოლა მასწავლებლებს, თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ჩაუტარებს ინსტრუქტაჟს და გააცნობს წესებს **დანართი 1** -ის შესაბამისად. აღნიშნული წესების გაცნობა მოხდება პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე წესების დაცვაზე კონტროლი დაევალება სკოლის დირექტორს ქეთევან ედიბერიძეს .

2. მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან მოეწყობა საინფორმაციო შეხვედრა დისტანციურად, ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით, ასევე წერილობით დაეგზავნებათ ინფორმაცია და ეცნობებათ მათი მოვალეობების შესახებ, კერძოდ:

- ✓ ცხელების/რესპირატორული დაავადების შემთხვევაში არ გამოუშვან მოსწავლე სკოლაში;
- ✓ ცხელების/რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენის შემთხვევაში დროულად გაიყვანონ მოსწავლე სკოლიდან და უზრუნველყავით ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და **პჯრ** - ტესტირების ჩასატარებლად;
- ✓ სახლის პირობებში ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში შეატყობინონ კლასის დამრიგებელს;
- ✓ ცხელების ან სხვა რესპირატორული დაავადების სიმპტომების გამოვლენისას უზრუნველყონ ბავშვის მიმართვა ოჯახის ექიმთან, ან ცხელების ცენტრში, შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მისაღებად და პჯრ-ტესტირების ჩასატარებლად.

3. მთელს სამუშაო სივრცეში განთავსდება სავალდებულო/საინფორმაციო ნიშნები.

4. სამუშაო სივრცეში (დერეფნები, კარები, შესასვლელები და ა.შ.) განლაგდება სავალდებულო საინფორმაციო მიმთითებელი ნიშნები, რომლებიც შეახსენებს დასაქმებულებს შემდეგ საკითხებს: პირადი ჰიგიენის დაცვა (ხელის ხშირი დაბანა/დეზინფექცია); დისტანცირება (მინიმუმ 1 მეტრიანი დისტანციის დაცვა სხვა დასაქმებულებთან); ფიზიკური კონტაქტის აკრძალვა (გადახვევა, გადაკოცნა, ხელის ჩამორთმევა, ა.შ.); საკონტაქტო ინფორმაცია (ვის უნდა დაუკავშირდნენ სიმპტომების აღმოჩენის შემთხვევაში).

5. სკოლაში მოსწავლის, მასწავლებლის, თანამშრომლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში ადმინისტრაცია/კლასის დამრიგებელი ვალდებულია, დაადგინოს და წერილობით დააფიქსიროს გაცდენის მიზეზი.

მუხლი 12. ინდივიდუალური დაცვის საშუალებები

1. სკოლის შენობაში ყველა შესასვლელთან განთავსებულია დეზობარიერი, სავალდებულო გამოყენების ნიშნის მითითებით.

2. მომარაგებულია საჭირო ინდივიდუალური დაცვის საშუალებები - პირბადეები, ერთჯერადი ხელთათმანები, ხელის სადეზინფექციო ხსნარები, დეზობარიერის ხსნარები...

სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება ხდება სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში ბუნებრივი ვენტილაციით. პირბადეებისა და ხელთათანების ნაწილი განთავსდეს სკოლის ტერიტორიაზე რამდენიმე ხელმისაწვდომ ადგილას, რომელიც ეცნობება ყველა დასაქმებულს.

3. სადეზინფექციო საშუალებების მარაგების შენახვა/დასაწყობება/გაცემაზე განისაზღვრულია პასუხისმგებელი პირი.

4. სკოლის ტერიტორიაზე შემოსვლისა და გადაადგილების დროს მოსწავლეთათვის პირბადის ტარება სავალდებულო არ არის, ხოლო სკოლის შენობაში სხვა ნებისმიერი პირის (მათ შორის მშობლის) შესვლა და გადაადგილება დასაშვებია მხოლოდ პირბადით.

დანართი - 1

თანამშრომელთა ინსტრუქტაჟი

რა არის კორონავირუსი?

ახალი კორონავირუსი წარმოადგენს იმ ვირუსების ჯგუფს, რომელის თავდაპირველი ადამიანის ინფიცირების წყაროს ცხოველი წარმოადგენს და რომელიც იწვევს რესპირატორულ ინფექციებს, დაწყებული ზოგადი გაციებით, დამთავრებული მწვავე რესპირატორული სინდრომით. ამ ვირუსის ადამიანთა შორის გავრცელება პირველად 2019 წლის დეკემბერში დაფიქსირდა ჩინეთში, ჰუბეის პროვინციაში.

როგორ ვრცელდება კორონავირუსი?

- აირ-წვეთოვანი გზით - ხველით, ცემინებით - ინფიცირებულ ადამიანთან 2მ-ზე ახლოს მიახლოვებით
- თვალზე, პირზე ან ცხვირზე ინფიცირებული ხელის შეხებით
- ინფიცირებულებთან მჭიდრო კონტაქტით - შეხება, ხელის ჩამორთმევა
- ფეკალიებთან კონტაქტით - იშვიათ შემთხვევაში

რა არის კორონავირუსის სიმპტომები?

ცხელება ცემინება ხველა სუნთქვის გაძნელება პნევმონია

ვინ არის მაღალი რისკის ქვეშ?

- 70 წელს გადაცილებული ადამიანები
- ადამიანები მწვავე ქრონიკული დაავადებებით

როგორ უნდა დავიცვათ თავი?

- ხშირად დაიბანეთ ხელები საპნით, წყლით ან სპირტის შემცველი ხსნარით თან იქონიეთ ალკოჰოლის შემცველი ანტისეპტური საშუალება
- შეინარჩუნეთ არანაკლებ 1მ მანძილი თქვენსა და სხვა ადამიანებს შორის, განსაკუთრებით კი იმ ადამიანებთან, რომლებიც ახველებენ, აცემინებენ ან/და მაღალი სიცხე აქვთ.
- არ შეეხოთ დაბინძურებული ხელებით თვალებს, ცხვირსა და პირს ხელებით თქვენ ეხებით ისეთ ზედაპირებს, რომლებიც შესაძლებელია ვირუსით იყოს დაბინძურებული.
- დახველებისას და დაცემინებისას ცხვირზე/ პირზე მიიფარეთ ცხვირსახოცი ან იდაყვი; გამოყენებული ცხვირსახოცი გადააგდეთ
- თუ გაქვთ სიცხე, ხველა და სუნთქვის გაძნელება, დროულად მიმართეთ ექიმს განსაკუთრებით იმ შემთხვევაში თუ იმოგზაურეთ იმ ქვეყნებში სადაც გავრცელებულია ვირუსი ან ეჭვი გაქვთ, რომ კონტაქტი გქონდათ ვირუსის მატარებელთან.

- ხშირად გაწმინდეთ თქვენი ტელეფონის, კლავიატურის, მაგიდის ზედაპირები და კარის ხელსაკიდები ანტიბაქტერიული საშუალებებით
- ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი და სამუშაო სივრცეები დარწმუნდით რომ ჰაერის მიმოქცევა, ტემპერატურა და ტენიანობა ადეკვატურია.

ყველა დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ჰიგიენის და ინფექციის კონტროლის სათანადო პრაქტიკის განხორციელება, მათ შორის:

- ხელების ხშირი და გულდასმით დაბანის ხელშეწყობა;
- ხელის დასაბანი ადგილის გამოყოფა თანამშრომლებისა და მესამე პირებისთვის;
- ხელის დაბანის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნას სულ მცირე 70 % ალკოჰოლის შემცველი ხელის გამწმენდი სითხე;
- თანამშრომელთა წახალისება, დარჩნენ სახლში ავად ყოფნის შემთხვევაში;
- რესპირატორული ეტიკეტის დაცვის წახალისება, მათ შორის ხველის დაცემინების დროს ცხვირის და პირის დაფარვა;
- ერთჯერადი ხელსახოცებისა და ნაგვის ყუთების უზრუნველყოფა მომხმარებლებისა და საზოგადოებისთვის;

ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენება და შემდგომში მათ შენახვა/მოცილება:

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების (იდს) ჩამონათვალი

მოცემული იდს-ის ჩამონათვალი წარმოადგენს პირადი დაცვის იმ საშუალებებს, რომელიც საჭიროებისამებრ გამოიყენება სკოლაში მიმდინარე სამუშაოებისას მისი ტიპის მიხედვით და საფრთხის შესაბამისად.

საჭირო აღჭურვილობა:

- ნიღაბი ან რესპირატორი, საჭიროების მიხედვით;
- ერთჯერადი ხელთათმანები.

სხვა შესაძლო აღჭირვილობა:

- უსაფრთხოების სათვალეები და/ან სახის ფარი;
- ერთჯერადი ხალათი, უკან შესაკრავით;
- ჩაჩი სამზარეულოს პერსონალისთვის.

ინდივიდუალური დაცვის საშუალებების კონტროლი

- დაბინძურებული იდს არ უნდა იქნას გატანილი პირობითად დაბინძურებული ზონიდან; აგრეთვე, არ უნდა მოხდეს მისი ტარება აღნიშნული ზონის გარეთ;
- მრავალჯერადი იდს–ის უტილიზაცია, წმენდა, რეცხვა და დეკონტამინაცია უნდა განხორციელდეს იდს-ის მწარმოებლის რეკომენდაციის შესაბამისად. არანაირ ვითარებაში არ უნდა მოხდეს იდს–ის წაღება სახლში გამოყენების, გარეცხვის ან უტილიზაციის მიზნით;

პირბადეები

ერთჯერადი ნიღბის ტარების ხანგრძლივობა დასველება/დაბინძურებამდე მაქსიმუმ 2-4 საათია.

პირბადის მოხმარების წესები:

როდის უნდა გამოვიყენოთ პირბადე:

ა) ჯანმრთელმა ადამიანმა პირბადე უნდა ატაროს მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ უვლის ახალი კორონა ვირუსით დაინფიცირებულს;
ბ) თუ ახველებთ ან აცემინებთ;

ნიღბის ტარება ეფექტურია მხოლოდ ხელების ხშირ დამუშავებასთან ერთად სპირტშემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით;
ნიღბის ტარების შემთხვევაში უნდა იქნას დაცული მისი სწორად მოხმარებისა და გადაგდების წესები, კერძოდ:

- ნიღბის გაკეთებამდე ხელების უნდა იქნას გასუფთავებული სპირტშემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით;
- ნიღაბი უნდა ფარავდეს ცხვირისა და პირის მიდამოს;
- ნიღაბი მჭირდროდ უნდა იყოს მორგებული სახეზე;
- მოხმარებისას დაუშვებელია ნიღაბთან შეხება. შეხების შემთხვევაში ხელების უნდა იქნას გასუფთავებული სპირტშემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით;
- დაბინძურებისთანავე შეცვალეთ ნიღაბი ახლით. არ გამოიყენოთ ერთჯერადი ნიღაბი განმეორებით;
- ნიღბის მოხსნის წესი: ა) მოიხსენით ნიღაბი უკანა თასმის მეშვეობით; ბ) არ შეეხოთ ნიღბის წინა ნაწილს; მოხსნისთანავე გადააგდეთ უახლოეს ნაგვის დახურულ ურნაში; გ) ნიღბის მოხსნის შემდეგ ხელების უნდა იქნას გასუფთავებული სპირტშემცველი ხსნარით ან საპნითა და წყლით.

ხელთათმანი

ბიოლოგიურ, ქიმიურ და ფიზიკურ საფრთხესთან მუშაობისას საჭიროა შესაფერისი ხელთათმანების ტარება.

- გამოყენებამდე ხელთათმანები უნდა შემოწმდეს მთლიანობაზე .
- ხელთათმანების ჩაცმა უნდა მოხდეს ნებისმიერი აქტივობის დაწყებამდე სამუშაო ზონაში;
- ხელთათმანი უნდა ფარავდეს ქვედა სახელოს და დამცავი ტანსაცმლის მანჟეტს;
- ახალი ხელთათმანები უნდა ინახებოდეს სუფთა ზონაში;
- ხელთათმანები უმეტესად ერთჯერადია;
- ხელთათმანი არ არის ხელის დაბანის ალტერნატივა.

მოხმარების წესები:

ხელთათმანის ჩაცმის ტექნიკა:

- დაიბანეთ ხელები ჰიგიენური წესით;
- შეარჩიეთ საჭირო ზომის ხელთათმანი;
- ჩაიცვით ხელთათმანი ჯერ დომინანტურ ხელზე და შემდეგ არადომინანტურ ხელზე;

ხელთათმანის გახდის ტექნიკა:

- სამუშაოს დასრულებისას/სხვა საჭირო შემთხვევებისას გაიხადეთ დაბინძურებული ხელთათმანები;
- დომინანტური ხელით შეეხეთ არადომინანტური ხელის ხელისგულს ან ხელთათმანის სამკლავურს/მანჟეტს ხელისგულის მხრიდან და გადმოაბრუნეთ ხელთათმანის დაბინძურებული მხარისკენ და მოაქციეთ დომინანტური ხელის მუჭში;

- იმ ხელის, რომელზეც აღარ გაცვიათ ხელთათმანი, ორი თითი შეაცურეთ ხელთათმანის სამკლავურის/მანჟეტის ქვეშ ისე, რომ არ შეეხოთ ხელთათმანის დაბინძურებულ (კონტამინირებულ) გარეთა მხარეს;
- ხელთათმანი გადმოაბრუნეთ ისე, რომ გაკეთდეს ჩანთა, რომელშიც მოაქცევთ პირველად გახდილ ხელთათმანს;
- ხელთათმანების „ჩანთა“ მოათავსეთ შესაბამის ნაგვის დახურულ ყუთში ან სახიფათო ნარჩენების ყუთში;
- აწარმოეთ ხელის ჰიგიენა.

დაუშვებელია ერთჯერადი ხელთათმანების მრავალჯერადად გამოყენება.